

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ღიანა კაჯაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	
წერის უნარი	17	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	87	100	

გოგა კიკილაშვილი



14 / 04 / 2025

საქართველოს თუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით
დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ
პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლიანა კაჯაშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

- „საბჭო“ 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- „საბჭო“ 2025 წლის 05 თებერვლის №1/14 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ლიანა კაჯაშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).
- „საბჭო“ შესაბამისამა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელაც გავეცანი დეტალურად.
- „კანონის“ 34³ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 01 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34⁴ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35⁵ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭო“ შესაბამისი სამსახურის მიერ მომოვამზღვი ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 14 წელია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 4 წელია.

- ✓ 2010 წელს იყო ორგანიზაცია „ობილისელების ადვოკატის“ სტაჟიორი;
- ✓ 2011 წელს იყო სტაჟიორი მცხეთის რაიონულ სასამართლოში;
- ✓ 2011-2016 წლებში მუშაობდა სსიპ იურიდიული დამარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტად, ხოლო 2016-2021 წლებში - ადვოკატად;
- ✓ 2019-2020 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

✓ 2021 წლის 18 ივნისიდან განწევდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელებშიც რეკომენდატორები გამოიქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კუთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის სამართლიანობას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, გულისხმიერებას, კომპეტენტურობას, შიზანდასახულობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელშისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. „კანდიდატის“ საკუთრებად უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. შეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სასამართლოში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილი ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართლებრივობა არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში კანდიდატის შესახებ მიღებულია შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 95%, ვადის დარღვევით - 5%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%;
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტატილურობა: უცვლელი - 88,4%, შეცვლილი - 11,6%;
- საანგარიშო პერიოდში (966 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 235 საქმე, დღეში საშუალოდ 0,2 საქმე.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ 2 საქმეზე გაპოტანილი გადაწყვეტილებები, რომელთა მესწავლით ირკვევა, რომ „კანდიდატი“ აზრის გადმოსაცემად ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე ზოგჯერ ფიქსირდება პუნქტუაციური სასიათის ხარჯეზები.

გადაწყვეტილებებში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად უპირატესად მოშველიებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა. ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებასაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი შადალი სტანდარტის შესაბამისად, ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტკირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. „კანდიდატის“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებში, მაგ.:

✓ სემინარი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - სამოქალაქო/ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება“;

- ✓ სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები“;
 - ✓ სამუშაო შეხვედრა თემაზე - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებული საკითხები“ და ა.შ.
- 2.1.9. „კანდიდატის“ 2019 წელს ჩატარებული აქვს მოსამართლეობის საკუალიფიკაციო გამოცდა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. მას ასევე ჩატარებული აქვს: ადვოკატთა საკუალიფიკაციო გამოცდა და პროგურატურის საკუალიფიკაციო გამოცდა.
- 2.1.10. „კანდიდატი“ 2017-2021 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:
- ✓ ტრენერი თემაზე: „ადმინისტრაციული სამართალი ადვოკატებისათვის“ (სსიპ ადვოკატთა ასოციაციისა და ევროკავშირის პროექტის „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ორგანიზებული პროექტი);
 - ✓ ტრენერი თემაზე: „ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, არანუბაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები: კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და UNDP ერთობლივი პროექტი;
- 2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

- 2.2.1. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსკვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.
- 2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, კანდიდატმა გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების კარგი ურარები, აგრეთვე ადგილობრი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სათანადო ცოდნა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

- 3.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
 - ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
 - გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
 - დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ე) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.
- კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმეცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემთხვევაში წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებისთვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის¹ ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. „კანონის“ 35² მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმუცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მონაცემთა ერთობლიობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის“ 35³ მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტები: „კანდიდატის“, როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სიმართლისმოყვარეობა.

ვინაიდან მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარემოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმუციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემცირდილება, რომ „კანდიდატი“ არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, ავლენს ზეგავლენის მიმართ მედეგობას და პიროვნული სიმტკიცეს.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული² „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და საშართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭრილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო უთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ³ „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატის“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი

¹ იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

² კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.

³ კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.

ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება, ან გარემოება.

ზემოაღნიშნული მაძლევებს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ⁴ „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. „კანდიდატის“ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივების, შემოსავლის ოდენობის, შემოსავლის წყაროს და ნაკისრი ვალდებულებების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ⁵ „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინათდან „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს, გავაკეთე „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა, რომ „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა“⁶ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

შეფასების დროს გავითვალისწინე მოსმენის შედეგები, კერძო, 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებებითა უვრცელებელი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტი „კანდიდატს“ ვაფასებ 17 ქულით.

4.1.2. „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლებრივი დასატუმების უნარი და კომპეტენცია“⁷ მაქსიმალური შეფასება „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო, თუმცა შედარებით ხანძლკლე პროფესიული გამოცდილებაც. შის მიერ განხილულ

¹ კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-7 პუნქტით.

² კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განპარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განპარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. შეფასების გავითვალისწინე 2.1.7 პუნქტში აღწერილი ფაქტორები.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპუტერციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 17 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35⁸ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“⁹ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹⁰ მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია. შეფასების დროს ასევე გავითვალისწინე 2.1.7. პუნქტში დაფიქსირებული ხარვეზები.

„წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 17 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“¹² მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹³ მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.

„კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაყებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ლია და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

„ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹⁴ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქვევა სასამართლო დარბაზში)¹⁵ ამავე „კანონის“ 35¹⁵ მუხლის მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმჯობეს 15 ქულით.

„კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდყონე, შრომისმოვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მეწარმერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასას იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრუქტურულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს.

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქვევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35¹⁶ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“¹⁷ ამავე „კანონის“ 35¹⁸ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმჯობეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წყრთნის პროცესებში ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შემცნაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შემენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

⁸ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

⁹ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

¹⁰ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

4.1.7. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვემოთ გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული აქტივობა“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმჯობეს 4 ქულით.

„კანდიდატი“ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმარცვლების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს დიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/ წინადაღებებს. „კანდიდატი“ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, არ აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატის“ ვაფასებ 4 ქულით.
4.2. ყოველიც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატის“ ჯამურად ვაფასებ 87 ქულით.

გოგა კიკილაშვილი



14 / 04 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი